რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 31 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

ყოველ დღე გამოდის. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгiевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები — რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. განცხადებები დაიბეჭდება მოლაპარაკებით. ნასკვნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 24 რუს. სოც.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 24

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

### ყოველ დღიურ გაზეთებზე

### „ბრძოლა“, „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბანვორი კრივ“-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე“ ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს 24 მან., ნახევარი წლით — 12 მან., ერთი თვით — 2 მან.

## სალდათები სოფლათ.

ეხლა გარეშეა, ჩვენი სოფელი ამ ჟამათ დიადი რევოლიუციონური ქარტეხილის წინაშე იმყოფება. აგრარული მოძრაობა უკვე დუღილშია და ახლო მომავალში ეს შესამჩნევ ფორმებს მიიღებს, რასაც ძირიანათ შესცვლის საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას.

მენშევიკ-ესერებმა შეაჩერეს, მაგრამ ვერ ჩაკლეს სოფლის რევოლიუციონური მოძრაობა. ოქტომბრის რევოლიუცია ჩვენს სოფელშიაც პოულობს თავის გამოძახილს და მას თავის ფერხულში ითრევს.

სხვათა შორის სოფლის გამოფხიზლებას, მის აქტიურათ გამოსვლას დიდათ ხელს უწყობს ომიდან დაბრუნებული ჯარი. სალდათებს თან მოაქვს რევოლიუციონური სული, რასაც ახალ სულიერ განწყობილებას ქმნის სოფლათ. გაბატონებულ კლასებთან შეთანხმება-შერიგების ნაცვლათ უკვე გაისმის ბრძოლის შეურიგებელი ყიჟინა, რაც ძირს უთხრის მემამულეებს და მათ დამცველ მენშევიკებს.

დაბრუნებული სალდათი ის აღარ არის, რომელიც ამ ოთხი წლის წინათ ომში გაიწვიეს. უჩვეულო პირობებმა სრულიად გადაახალისეს ის და შექმნეს მისგან თავისუფალი მოქალაქე, რომელიც აღჭურვილია ღრმა რევოლიუციონური რწმენით და შეგნებით. ამ ელემენტის სოფელში დაბრუნება უეჭველათ გააძლიერებს რევოლიუციონურ მოძრაობას და ახალსაც ხდის.

სრული რიგი ჩვენი კორესპონდენტებისა ერთხმათ აღასტურებენ, რომ სოფლის რევოლიუციონურათ გამოფხიზლებაზე სალდათი დიდ გავლენას ახდენს. მაგრამ არის საგნის მეორე მხარეც, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ცველა ჩვენმა სოფლათ მომუშავე ამხანაგებმა.

მუდმივი ჯარის დაითლვა და ყოველიცე [illegible] მისი ჩამოშლისა, როგორც ამას სჩადის ამიერ-კავკასიის კომისარიატი, კონტრ-რევოლიუციონურია. ამ ჯარის ადგილი ხელ სხვა გვარმა ორგანიზაციამ უნდა დაიჭიროს. შექმნილ პირობებში ჩვენ საყოველთაო შეიარაღებასაც არ დავუჭერთ მხარს, რადგან ეს ნიშნავს ხალხთან ერთათ ყველა მისი მტრების შეიარაღებასაც. იარაღი ყველაზე საშიში ძალაა და დღევანდელ პირობებში მითი აღჭურვილი უნდა იყოს მხოლოთ ხალხის ინტერესების ნამდვილი დამცველი. მოკლეთ რომ ვსთქვათ, მუდმივი ჯარის ნაცვლათ უნდა შესდგეს სოციალისტური ლაშქარი, რომელიც დაიცავს მშრომელ და გაყვლეფილ ხალხის ინტერესებს.

ამისდა მიხედვით, ჩვენ არ უნდა გამოვეკიდოთ ძველ, თუნდაც რევოლიუციონურ ფორმებს, რომელსაც მუდმივ ჯართან აქვს კავშირი. ასეთია მაგალითათ სალდათების საბჭო.

სალდათების საბჭოებმა დიადი რევოლიუციონური როლი ითამაშეს და დღესაც თამაშობენ მუდმივ ჯარში. მაგრამ როდესაც სალდათი სწყდება ამ ორგანოს და თავისუფალ მოქალაქეთ სოფელს უბრუნდება, არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ სოფლათ დაარსდეს სალდათების საბჭოები, რომელსაც უკვე აღარ მოუპოვებათ თავისი სპეციფიური საქმეები. პაგონების აგლეჯით სალდათი სწყვეტს იმ უკანასკნელ ძაფს, რომელიც მას აკავშირებს მუდმივ ჯართან. რაღა საჭიროა სხვა ფორმით ამ კავშირის განახლება და უბრალო მოქალაქის ნაცვლათ სოფელში კვლავ რაღაც განსაკუთრებულ და განსხვავებულ სახით მოვლინება.

სალდათი, როგორც მოქალაქე, უნდა შეუერთდეს სოფელს, და მთელი თავისი ცოდნით და გამოცდილებით საერთო ფერხულში ჩაებას. სოფლათ უნდა დაარსდეს მხოლოთ გლეხთა საბჭოები, სადაც ყოფილ სალდატს, როგორც უფრო მომზადებულს და მოწინავე ელემენტს, თავისთავათ მიეცემა შესაფერი ადგილი.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ მავნებელი იყოს სალდათების მიერ ცალკე კრებების გამართვა. ასეთი კრებები საჭიროც არის და სასარგებლოც, როგორც საშუალება უფრო მოწინავე ელემენტების ერთმანეთთან დაახლოვებასა და საერთო ცხოვრებაზე მათი გავლენის მოპოვებისა. მაგრამ ამ კრებებს უნდა ქონდეს მხოლოთ დამხმარე საშუალების მნიშვნელობა და არ უნდა გადიქცეს დამოუკიდებელ, ძალაუფლების მქონე ორგანოებათ. ასეთები უნდა იყოს მხოლოთ სოფლის გლეხთა საბჭოები.

ამ საბჭოებს უნდა დაეხმარონ სალდათები და მიიღონ შიგ მონაწილეობა. ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა. მათ უნდა შეუწყონ ხელი ღარიბი გლეხობის დარაზმვას და ამას მით უფრო ადვილათ შესძლებენ, რომ თვით სალდათები გლეხები არიან. მდიდრები ადვილათ ახერხებდენ სალდათობიდან თავის დაძვრენას.

სოფლათ ახლა დიდი ნიადაგია სამუშაოთ. დაბრუნებული სალდათი მთელი ძალ-ღონით უნდა შეუდგეს სოფელში რევოლიუციონური შეგნების შეტანას, დარაზმოს მშრომელი ხალხი, მისცეს მოძრაობას მტკიცე ხასიათი და მით მოიხადოს თავისი რევოლიუციონური ვალი.

## ნიღაბი ახადეთ!

Слова и нелюбви гибнуть
факты остаются.

*[illegible]*

გაზეთ „ერთობის“ (20 იანვრის ნომერში) მეპრესე გაკვირვებული კითხულობს: როგორ იყო, რომ მენშევიკები პროლეტარიატის სისხლში ჩახრჩობას ფიქრობდენო. იქობიეთ მოთმინე, ა. ბ. მენშევიკებო! გადავშალოთ რუსეთის ისტორიის უკანასკნელი ფურცლები, იქნებ იქ ვიპოვოთ ცოტა რამ მაინც, რაიცა ცხად ყოფს თქვ. არა სოციალისტურ, პროლეტარიატის დამღუპველ მოღვაწეობას!

ავიღოთ კორნილოვის გამოსვლა. როდესაც ამ უშიშარმა გენერალმა ტარნოპოლში ცა-მეტი სალდათი (თუ მეტი არა) დახვრიტა, თქვენ ამ ფაქტს სიჩუმით შეხვდით, ხოლო როდესაც მან კერენსკის „ულტიმატუმი“ წარუდგინა სიკვდილის დასჯის შემოღების შესახებ, ხოლო ამ უკანასკნელმა შესაფერი „კანონი“ გამოსცა, განა მენშევიკი წერეთელი არ იყო, რომელიც თუ საშველი რომ გავიდა ტრიბუნაზე, რათა პეტროგრადის საბჭოს უმრავლესობისათვის დაემტკიცებინა ამ საძაგელი ინსტიტუტის აღდგენის საჭიროება? რევოლიუციის განსაცდელშია, ამბობდა წერეთელი, ამიტომ საჭიროა უკიდურესი ზომების მიღება, მისი მტრების წინააღმდეგ, აგრეთვე იმისთვის, რომ ჯარმა თავის ადგილზე ხელი არ აიღოსო. მოკლეთ ეს ვითომ და სოციალისტები, რევოლიუციის დაცვის სიცრუით იმით, რომ კორნილოვს და კამპანიას პოზიციებს უმაგრებდენ, ამზადებდენ მათ ტერიტორიას კონტრ-რევოლიუციონურ შეხედულებებს, ხელს აწყობდენ მათ ულტიმატუმებს, მათი რეცეპტებით სურდათ „ავათმყოფი“ რუსეთის მორჩენა. მაგრამ, რატომ მათ რიზვა არ შემოიღეს ჯარში, ეს ხომ კიდევ უფრო მალე აღადგენდა ძველი რეჟიმის სასტიკ დისციპლინას!

შემდეგმა ამბებმა ხომ კიდევ უფრო გამოააშკარავეს ობორონცების ნამდვილი სახე, მათი სულისკვეთება. კორნილოველებმა აულეს ალლო კერენსკი-წერეთლების ორპირულ პოლიტიკას, ისინი თანდათან გათამამდენ და ერთ მშვენიერ დღეს მოისურვეს მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება. საბედნიეროთ რევოლიუციონურ პროლეტარიატს კარგათ ჰქონდა შეგნებული თავისი დანიშნულება, ის გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა კერენსკი-კორნილოვების თვითეულ ნაბიჯს, მას ნათლათ ჰქონდათ წარმოდგენილი, თუ საით მიაქანებდენ რუსეთის სახელმწიფო გემს ეს ვაჟბატონები. კორნილოვის ავანტიურა თავიდანვე ჩაკლულ იქნა. ის ხამარცხვინოთ დამარცხდა, ამ დამარცხების შედეგი იყო სავოინკოვის, სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიიდგან გამორიცხვა, ხოლო რაც შეეხება კომისარ ფილონენკოს, არ ვიცით, რა ბედი ეწვია მას, მხოლოთ ფაქტია ის, რომ ისიც სავინკოვთან ერთად პოლიტიკურ ასპარეზიდან გაქრა... ჯერ კიდევ ულმობელ ისტორიას არ გადაუშლია ჩვენს თვალწინ ის მრავალფეროვანი და ღირსშესანიშნავი სურათი, რომელსაც კორნილოვის პროცესი ეწოდება. [illegible] ეს მოხდება, მაშინ შესაძლებელია, [illegible] წმინდა თომებმაც ბევრი რამ [illegible]. დღეს ჩვენ ვიცით, რომ კორნილოვი არ იყო მარტო: მას მხარს უჭერდენ და ყოველგვარ დახმარებას უწევდენ რიაბუშინსკები, მილიუკოვები, ალექსეევები, ერთი სიტყვით ბურჟუაზია. „სოციალისტი“ წერეთელი კი, როგორც თავის ნებით, დღესაც თავგამოდებით იცავს კოალიციის იდეას. ნუ თუ ეს პროლეტარიატის ინტერესების ღალატი არ არის?! წერეთელს დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთში მუშათა კლასის წინაშე, დღესაც ის დაჩაგრულთა ინტერესს იცავს, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ის გზა, რომელსაც ის ადგია, მისი ტაქტიკა, მისი დაცვა რევოლიუციის, პროლეტარიატისათვის დასაზოგადოთ მშრომ-

მელი ხალხისთვის მავნებელია, დამღუპველია. ხელს უწყობს კლასობრივ ბრძოლის მოდუნებას, ის თავის ხელით აშენებს შემაერთებელ ხიდს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. სტოლიპინი ამბობდა: ჯერ დამშვიდება, მერე რეფორმებიო, წერეთელი გაიძახის: ჯერ ბურჟუაზიასთან კავშირი და მისი გაბატონება, მერე მასთან ბრძოლაო. ის სცდილობს დაამყაროს „სამღვთო კავშირი“ ამ ორ მებრძოლ კლასთა შორის. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რა როლი ითამაშა დასავლეთ ევროპის პროლეტერიატის ცხოვრებაში „ბურგ-ფრიდენის“ (სამოქალაქო ზავი) იდეის გაძლიერებამ. შეიდემანებს კარგა ხანია ჩამოშორდენ პროლეტარიატის ისეთი გამოჩენილი იდეოლოგები, როგორც კაუცკი, ბერნშტეინი, ცეტკინი და სხ. ლიპკნეხტზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი; ის ლიდერია მემარცხენე ინტერნაციონალის. შეიდემანები განმარტოვდენ. ისინი სოციალ-დემოკრატიას დაშორდენ და „სოციალ-მონარქისტის“ სახელწოდება მიიღეს ძლვნათ მებრძოლ პროლეტარიატისაგან.

ავიღოთ კალედინის ისტორია. ვინ არ იცის ამ დეზერტირ გენერალის „საქმენი საგმირონი?“ — მუშათა საბჭოების გარეკა, დონის მაღაროებში მომუშავე მუშების დახვრეტა, წითელ გვარდიელების და ჯარის-კაცების იარაღის აყრა, აი რით გაითქვა მან სახელი. კალედინი იყო კორნილოვშჩინის მასაზრდოებელი ძალა. საჭირო იყო მასთან ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი. რუსეთის პროლეტარიატი ასეც მოიქცა. ის იარაღით ხელში გაეშურა ამ კონტრ-რევოლიუციონურ ბუდის ძირიან-ფესვიანათ აღმოსაფხვრელათ. მან დახმარების ძმური ხელი გაუწოდა დროებით დამარცხებულ დონის პროლეტარიატს როგორი იყო ამ დროს მენშევიკ-ესერების ტაქტიკა? გენერალურმა სეკრეტარიატმა, რომლის თავმჯდომარე ვინნიჩენკოა, ხოლო სამხედრო საქმეთა მმართველი პეტლიურა, გზა შეუკრა როსტოვისაკენ მიმავალ წითელ-გვარდიელების ეშელონებს და იარაღის აყრაც კი მოუნდომა. ამავე დროს უკრაინის ტერიტორიაზე მყოფ კაზაკების დივიზიას ნება მისცა დაბრუნებულიყო დონში კალედინის დასახმარებლათ. რა ქონდათ მიზნათ უკრაინის ობორონცებს, თუ არა პროლეტარიატის სისხლში ჩახრჩობა, ბ-ნო „ერთობელებო“? იქნებ თქვენ სთქვათ, რომ კავკასიის მენშევიკები სხვა შეხედულების იყვენ კალედინზეო. ყველაფერი შესაძლებელია.. მხოლოდ ერთი „პატარა“ ფაქტი გვაეჭვებს: ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, წყალობითა მენშევიკებისათა, ტყვია-წამლით დატვირთული ვაგონები გაუგზავნ ათავის ჩრდილოეთელ მოძმეს, დონის მთავრობას, ისიც ვიცით, რომ კალედინის „სასახლეში“ კომისარიატს თავისი ელჩი ყავს. ზემოთ მოყვანილ ფაქტებს ახსნა-განმარტება არ სჭირია.

ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ ოქტომბრის რევოლიუციას. როგორც ვიცით, მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობაზე დიდი „მრავლესობით მიღებული იქმნა რეზოლიუცია, რომელმაც დაგმო კერენსკის კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკა და გადასწყვიტეს შეედგინათ ახალი მთავრობა „სახალხო კომისართა საბჭოს“ სახელით. ასეთი იყო პროლეტარიატის სურვილი და თუ კერენსკი გულწრფელი სოციალისტი იყო, ის უნდა დამორჩილებოდა ხალხის სურვილს. რა ვუყოთ, რომ შენ მავნებლათ მიგაჩნია ის გზა, რომელსაც უმრევლესობა დაადგა! ვინ მოგცათ უფლება იარაღით ხელში გაილაშქროთ ამ კლასის წინააღმდეგ, რომლის ინტერესების დამცველათ დღემდე თავი მოგქონდათ?

თუ პროლეტარიატის არა. მაშ ვისი სისხლში ჩახრჩობა სურდა კერენსკის, როდესაც მან ღამით ქურდულათ გაპარულმა შეაგროვა ყაზახების რამდენიმე ასეული და პეტროგრადისკენ გაეშურა? პროლეტ. რაზმი არ იყო პულკოვის რაზმი, რომელსაც ვალდენი მეთაურობდა და რომელმაც სასტიკათ დაამარცხა კერენსკი? ვინ იყო ვოიტინსკი, რომელიც დიოგენის ფარნით დაეძებდა ჩრდილოეთის ფრონტზე ისეთ ჯარს, რომელიც მას გაყვებოდა „მეამბოხე“ მუშების ამოსაჟლეტათ? რომელი ერთი მოვიგონო! გაიხსენეთ გოცი, ეს იუნკრების და და აფიცრების წინამძღოლი ოქტომბრის ისტორიულ დღეებში.

„სოციალ დემოკრატი“ ერთ-ერთ თავის მოწინავე წერილში სწერდა დაახლოვებით შემდეგს: პეტროგრადიდან და მოსკოვიდან სანუგეშო ცნობები მოდის, აქ დამფუძნებელი კრების გარშემო ბრძოლაა გაჩაღებულიო. ვერ გამიგია, რას ხედავს ასეთ ცნობებში სანუგეშოს „სოციალ-დემოკრატი?“ ეს მწუხარე სახის რაინდნი წყევლა-კრულვას უძღვნიან ბოლშევიკებს, რომელთაც ბრალს დებენ სამოქალაქო ომის გამოცხადებაში. დღეს კი სიხარულით ეგებებიან სამოქალაქო ომს, რომელმაც მათი აზრით უნდა დაიცვას დამფუძნებელი კრება.

აინუნშიაც არ მოსდით ჩვენს მენშევიკებს პროლეტარიატის ბედი; მათ გარგათ იციან, რომ დამფუძნებელი კრების გამარჯვება მოასწავებს პროლეტარიატის განადგურებას, მაგრამ ეს ობორონცებს არ აფრთხობს: მათი ჰონტენტოტური ლოღიკა ყველა მათ ნაბიჯს ამართლებს; კარგია სამოქალაქო ომი, როდესაც ის ჩვენს სასარგებლოთ მიმდინარეობს, ხოლო ცუდია, თუ ის ჩვენს ვიწრო, პარტიულ მიზნებს არ ემსახურება: კარგია ერთ-ფეროვანი სოციალისტური, სამინისტრო, როცა მას რუსეთში აქვს ადგილი, ხოლო ცუდია, თუ მისი შემოღება კავკასიაში დაგვჭირდა; კარგია კერენსკი, როდესაც ის მინისტრ-პრეზიდენტია. ხოლო არაფერათ ღირს, თუ ის ხალხმა გადმოაგდო. ასეთია თქვენი ლოღიკა, ბატონებო, და ნურას უკაცრავათ, თუ რუსეთის მშრომელმა ხალხმა ის ვერ შეითვისა.

იმ დროს, როდესაც რუსეთის მშრომელი ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული, ყველა ის, ვინც მასთან ერთათ არ იბრძვის, მისი მტერია, მის დამარცხებას, ნებით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს, ორ დიდ ბანაკს წარმოადგენს დღეს რუსეთი. ერთი მხრით დგას პროლეტარიატი და ღარიბი გლეხ-კაცობა, მეორე მხრით კი ბურჟუაზია, მემამულენი, ფრონტიდან გამოქცეული გენერლები, ბურჟუაზიული ინტელიგენცია, მღვდლები, ბერები, ერთი სიტყვით ყველა ის, ვინც თავის ბედნიერებას სხვის უბედურებაზე აშენებს, ყველა ის, ვინც სხვისი ნაშრომით ცხოვრობს, თვითონ კი არაფერს ქმნის. რომელ ბანაკს ეკუთვნით თქვენ ბ-ნო მენშევიკებო! ვისთანა ხართ: ჩვენთან თუ მათთან? თუ ლაჩრულათ განზე გადექით და „ნეიტრალიტეტს“ იცავთ, „სანამ ლენინის თავი არ გაგორდება?!.“

სოციალისტები ვართო, რომ იძახოთ მარტო ეს არ კმარა: სიტყვა საქმე სხვა, შუა უძევს დიდი ზღვარი“. საჭიროა საქმით ემსახურებოდეთ იმ დეიზს რომელიც თქვენს გაზეთებს დღემდის ამშვენებს და რომელიც თქვენ უკვე დაჰგმეთ...

ქ. ებრალიძე.

---

# სეიმის ბაზარი.

მენშევიკების „ერთობა“ მორიგებს ესერებს, შორიგებს დაშნაკცაკანებს; ეს უკანასკნელებიც შორიგებიან მენშევიკებს. ამდენი ხნის აფსონები ახლა ნაბახურევათ ბრძანდებიან და სეიმში აპირებენ უკანასკნელი საშის ჭამას. დიდი ნახარჯი არიან ერთმანეთზე. თუმცა დანახარჯის გასწორებას არც ერთი არ ფიქრობს. ალბათ კიდევ ვერ გაიღვიძა მათ მიერ ბანგით დაძინებულმა „ხალხმა“.

ესერებთან მუდამ მორიგებული და „დელიყანდი“ „ერთობა“ ნახეთ ახლა რა გულადია! ესერები ახლა ჩინოვნიკების პარტია, მათთვის სეიმის საკითხი ლუკმა პურის საკითხია და მეტი არაფერი. ეტყობა, ძალიან გაჯუნებიათ ლოლა ესერებს. მოგიკვდეთ, ვინც ეს იდარდოს. მხოლოთ ერთი სიტყვა ჩვენც გვათქმევინეთ: ძალიან „პარა“ ყ[illegible] იყავით თქვენ და ისინი ერთ დროს და ახლაც არ ვიცით, რომელი იყო თქვენში კავალერი და რომელი — დამა.

გულადი „ერთობა“ დაშნაკცაკანებს პირდაპირ უკიჟინებს — მშიშრები ხართო, უმართებულო შიში; სეიმი ერთვნული გადამწყვენის საქმესაც შეუდგება და ამას ამიერკავკასიის „შეერთებული დემოკრატია“ გადასწყვეტს და არა დაშნაკელებისთანა ნაციონალისტები.. გულადია ხართ, ვაჟკაცებო, რადგან 33 და 27 იზამს 60-ს და არა ამის ნახევარს. ამ ნახევარმაც კარგათ იცის „ჩოთქის“ ანგარიში და სწორეთ მიტომ არის ასე ყურებ-ჩამოყრილი. მაგრამ იცით, რა გითხრათ? არქიმედიც ძალიან ანგარიშის კაცი იყო. ჰო და, არ ვარგა ანგარიშებით ნამეტანი გატაცება.

თათრებზე არას ვიტყვით, — მორცხვათ ბრძანებს გულადი „ერთობა“. რატომ, რატომ, სწორეთ აქ არის ლაპარაკი საჭირო, აქ არის დაუფასებელი თქვენი გულადობა. ბრძანეთ, ბრძანეთ, რაც უნდა სთქვათ, დიდი ყურადღებით მოგისმენთ, თქვენ მაინც არას ამბობთ. რა გაეწყობა.

ქართველ ნაციონალისტებთან დიდი ხუები მოგვივაო, — გვარწმუნებს „ერთობა“. ნაციონალურ საკითხში ხომ არა? რა ბრძანებაა! „მრავალ და არსებით საკითხებში, როგორიც არის მიწის საკითხიო“. ვითომ? არა გვგონია! ალბათ სიტყვების კორიანტელს თუ დააყენებთ, მარა ან ეს რა საჭიროა. ნუ თუ ქართველი ნაციონალისტები ნაკლებ შეგნებული არიან ვიდრე ქართველი თავად-აზნაურობა, რომელმაც თავის ნებით აიღო ხელი თავის წოდებრივ უპირატესობაზე და გვარიან დიდ დოვლათზე, რადგან კარგათ აქვს შეთვისებული ბრძნული თქმულება: „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს კაცისა მამაცისაგანო“. მოკავშირეებთან თქვენ ჩხუბი და აყალმაყალი არასოდეს არ იცოდით და რალო ქართველ ნაციონალისტებს უნდა დაამტვრიოთ კაკალი თავზე, არ ვიცით. დღეგრძელი ვიყოთ და ამასაც ვნახავთ.

---

# მუშა ფარმაცევტების ცხოვრებიდგან.

ამ ახლო წარსულში, მოხდა თბილისის აფთიაქებში მომუშავეთა კრება, რომელიც უმთავრესათ იმისთვის იყო მოწვეული, რომ მომხდარიყო ხელახალი არჩევნები მუშათა საბჭოს დელეგატებისა როდესაც კრება გაიხსნა დაჯერი მიდგა არჩევნებზე, სრულიათ მოულოდნელათ სიტყვას თხოულობს დგებუაძე ის ადის ტრიბუნაზე და იწყებს ლაპარაკს; ამ დროს ბატ. დგებუაძესაგან კაცი ვერ გაარჩევდა ევროპიელ შავრაზმელს და პროვაკატორს. მან თითქმის ერთი საათი ილაპარაკა და მთელი თავისი სიბრძნე და ჭკუა იმას გადააყოლა, რომ დაემტკიცებინა, — ბოლშევიკები ეს გერმანელებისაგან მოყიდულები არიანო. ბ. დგებუაძე შეეხო ივლისის დღეებს, და ის აზრი გაატარა, რომ ივლისში მომხდარი ამბები ეს ჟანდარმების და პოლიციელების შეთქმულობა იყოო. შემდეგ ის შეეხო პრესას და ბოლშევიკებს ძალადობას უკიჟინებდა, უკანასკნელათ ის ომის და ზავის საკითხს სწვდა და უსირცხვილოთ წამოროშა, რომ ეს ზავი, რომელსაც ბოლშევიკები ასე ეტრფიან, არის გერმანიის იუნკრების ზავიო. მან უკრაინაზედაც ორიოდე სიტყვა სთქვა, ვითომ ბოლშევიკები ხელს უშლიან უკრაინის ხალხს თვითგამორკვევაშიო. რაზედაც, რასაკვირველია ყურები სცქვიტეს ჩვენებურმა შოვინისტ-ფედერალისტებმა. თავისი სიტყვა ასე დაათავა ამ თავ აბნეულმა დემაგოგმა: დიე, დღესვე გამოგვეყონ აქვე ბოლშევიკები და არც ერთმა ხმა არ მისცეთ მათო.

ამის შემდეგ თხოულობს საპასუხო სიტყვას ერთი ბოლშევიკთაგანი და აქ თავმჯდომარე მას სიტყვის (ნებას არ აძლევს, იმ მიზეზით, რომ გვიან არისო. ამაზედ ბოლშევიკები წინადადებას იძლევიან: დღეს ჩვენ სრულებით აქ იმ მიზნით არ მოვსულვართ, რომ აგიტაცია ან სხვა რაიმე ხრიკები მოგვეხდინა. მაგრამ რადგან ბ. დგებუაძემ ისარგებლა მთელი ერთი საათით და საზიზღარი დემაგოგია გასწია, ამისთვის ჩვენ მოვითხოვთ, რომ იგი წამი მოგვეცეს საშვალება, რომ საპასუხო სიტყვით თავი ვიმართლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ კრებას ვტოვებთო. ამის შემდეგ როგორც იქნა მოგვცეს სიტყვის ნება ჩვენ, და ჩვენს მერმეთ უნდა ელაპარაკნა „მესამე შიმართულების ორატორს“, რაზედაც ბევრს სიცილი აუარდა, როგორც „სახალხო საქმეში“ სწერს ვიღაცა, რადგანაც ეს „მესამე მიმართულება“ ყველასგან უჩინარი იყო და თავის სახეს რაღაცა მიზეზის გამო ყველთვის მალავდა. ბოლშევიკების მხრით ილაპარაკა გ. ნუცუბიძემ: მან კრიტიკულ ქარცეცხლში გაატარა ყოველი მუხლი დგებუაძის დემაგოგიისა, მან წაართვა ახადა მენშევიკების ჯაიძვერაობას. და ორ სკამზე ჯდომას, მოაგონა კერენსკის მთავრობის ნაბიჯები, უკრაინის და ფინლიანდიის წინააღმდეგ გადადგმული.

მოაგონა ისიც, რომ ჩვენმა მენშევიკებმა გაზ. „საქართველო“ თავისუფლების მეორე დღეს რა მდგომარეობაში ჩააყენეს და დღეს პრესის თავისუფლებაზე აყაყანდნენ და ამ უკანასკნელათ თუ როგორ ღალატობენ მთელ რუსეთის პროლეტარიატსო. ამხ. გ. ნუცუბიძეს უნდოდა ბევრი მაგალითები მოეყვანა მენშევიკების ლაჩრობის და მოღალატეობას, მაგრამ ლაპარაკის დრო გაუვიდა და ამიტომ იძულებული იყო ტრიბუნიდგან ჩამოსულიყო: შემდეგ ყველას ყურადღება იყო მიქცეული ამ „მესამე უჩინარი მიმართულების“ მხრისკენ. ნეტავ ვინ გამოვა, კადეტი იქნება, არა ანარქისტი, — ჩურჩულობდნენ აქაიქ რუსის ქალები და მოუთმენლათ მოელოდნენ მის გამოსვლას. აი გამოვიდა კიდეც, მაგრამ!! ღმერთო ჩემო!! ეს ხომ ის კორძაიაა, რომელსაც ყოველ კრებაზე აუტყდება ენის ქავილი და ორმოცჯერ იმეორებს იმას, რაც უკვე ითქვა. ყველას ეცინება, ეცინება თვით კორძაიასაც, რადგან სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებს ის მაყურებელ საზოგადოება-

ზედ. ამხანაგებო, დაიწყო თავისი ხმაზე მან, ჩვენ ბალშევიკებზე კარგი თვალით ვიცქირებოდით. მაგრამ ამ უკანასკნელათ, როდესაც ისინი უკრაინის წინააღმდეგ წავიდნენ, ახლა მათი წინააღმდეგი ვართო. მან ილაპარკა ხუთმეტი წუთი, ილაპარაკა, თუ იმ ბოდვას, რაც იმან მთელი ამ დროს მოანდომა, ლაპარაკს უწოდებთ. და რომელსაც არც თავი ქონდა და არც ბოლო.

ჯერი მიდგა არჩევნებზე. ჩვენი პარტია გამოვიდა მეორე ნომრით. მენშევიკებმა ბევრი ვაჭრობის დიპლომატობის შემდეგ კავშირი შეკრა დაშნაკელებთან, ფედერალისტებთან და სხვა გვარ ცრუ სოციალისტებთან და გამოვიდა პირველი ხომრით.

ჩვენმა პარტიამ მიიღო 30 ხმა, მთელმა ბლოკმა 11რ. მაგრამ წარმოიდგინე გაოცება. მთელი ის ძალა, რომელმაც თავისი ზურგით გადაიტანა მთელი სიმძიმე ფარმაცევტების გათვითცნობიერებაში, მთელი ავანგარდი მუშა ფარმაცევტებში, რომლებმაც საძირკველი ჩაუყარა კლასთა ბრძოლას ამ პროფესიაში, და სიტყვით კი არა, საქმით დაამტკიცა, რომ მხოლოთ ისინი არიან ნამდვილი მშრომელი ფარმაცევტების დამცველი, აი მთელი ეს ძალა დღეს მეორე ნომერში ბალშევიკების სახით ეჩვენა ფარმაცევტებს და ამით ანიშნა მათ, რომ მუშათა დამცველი მარტოთ მარტო ერთი პარტიაა, მუშათა პარტია სოციალდემოკრატია, და მისი მედროშეები რუსეთში—ბალშევიკებია.

„ილპა.“

# მოხსენება

ქ. ხარკოვთან მდგომ რევოლიუციონურ ჯარების მთავარ სარდლის, ანტონოვის სახალხო კომისარეპის საბჭოსადმი კალედინის წინააღმდეგ გამოცხადებულ ომის მსვლელობაზე.

6 იანვარს ჩვენ დავიკავეთ სადგური „ლოზოვაია“. იუნკრები და აფიცრები ამოწყვეტილ იქნენ, ხოლო უკრაინის ჯარის ნაწილებმა თვითონვე აიღეს ხელი ბრძოლაზე. ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა აუარებელი სამხედრო მასალები, განსაკუთრებით თოფები და ყუმბარები. ვოროჟბიდან, გლუხოვოდან დი მიხაილოვსკის ხუტორიდან მოველით „ცნობებს“ დღეს 9 იანვარს ჩვენმა ჯარებმა გარდა ბახმაჩისა და ეკატერინოსლავისა დაიკავეს პიატიხატკა.

ფრონტიდან დაბრუნებულმა ყაზახთა ჯარმა ყუბანის ოლქში დაამარცხა კალედინის მომხრე აფიცრობა: მათ ჩამოგლიჯეს მხრებიდან „პაგონები“ და ბევრი მათგანი ტყვეთ წაიყვანეს, როგორც საწინდარი. გენერალ ორლოვის შტაბი სრულიათ დაიბნა და ამან მოგვცა საშუალება შეტევაზე გადავსულიყავით და სადგურები იასინოვატაია და კრინიჩნაია დაგვეკავებია და წინ წავსულიყავით, თითქმის სოფელ ილოკაისკამდე. აფიცრებმა და იუნკრებმა თითქოს სცადეს ჩვენზე მოულოდნელათ თავდასხმა, მარა ჩვენებმა ხელათ მამაცურად უკუაქციეს ისინი.

სამხრეთით ამ ჟამათ დონის წინააღმდეგ თავ-მოყრილია სამი კორპუსი—პირველი, მეოთხე და მეცხრე. სპარსეთიდან გამოყვანილი ჯარი კალედინის სასინააღმდეგოთ უკვე დაძრულა. ახლა ჩვენ დავიკავეთ სადგური ტიხორეცკაია, სიმფეროპოლიდან თათრები უწესოებას ახდენენ. თითქმის მთელი სევასტოპოლის ფლოტი მზათაა კალედინს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს.

სასურსათო საქმე კარგათ მიდის: პოლტავის და ეკატერინოსლავის აღებით ჩვენ ხელთ არის ამ ჟამათ 25,000,000 ფუთი პური მხოლოდ სამთამადნო მადაროებში მუშებისა და ტეხნიკების ნაკლებობაა, მაგრამ ესეც სამხედრო ტყვეებით შევავსეთ. ტყვეების მდგომარეობა აქ საზარი იყო: მშიერ-მწყურვალნი და შიშველნი ეყარენდა კალედინის მომხრე მეომრები სადაც შეხვდებოდენ მათ, როგორც ცხვრებს ისე ხოცავდენ, ყელებს ლადრავდენ.

კალედინის ძალების გათიშვა-რასკოლი შესაძლებელია მოვახდინოთ, თუ ერთი დივიზია რეგულიარული ჯარი და ამძიმე არტილერია კიდევ მოგვეშველება. ამ ჟამათ ჩვენთვის საჭიროა: დიდძალი რიცხვი რევოლვერების და სამ დიუმიანი ყუმბარები და 10 ვაგონი პიროკსილინი. ფული ჯერ-ჯერობით საკმაოთ არის, თუმცა საშინელი დიდი ხარჯები გვაქვს.

საჭიროა დონის მხრის ნაციონალიზაცია დეკრეტით გამოცხადდეს.

ქვანახშირის გატანას მთელ საქმეს ჩვენ თვითონ ვაწესრიგებთ.

სამხრეთის რევოლიუციონური ჯარების მთავარ-სარდალი ა ნ ტ ო ნ ო ვ ი.

# საზღვარ-გარეთ.

ი ნ გ ლ ი ს ი ს მ უ შ ე ბ ი დ ა ზ ა ვ ი ს ს ა კ ი თ ხ ი.

ლონდონიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ გლაზგში მუშათა პროფესიანური კავშირების და მთავრობის წარმომადგენლების კონფერენცია გაიმართა, რომელმაც მიიღო „ბილი“ ჯარების შევსების შესახებ; მაგრამ, როგორც ლონდონის გაზეთები გადმოგვცემენ, ლითონზე მომუშავეთა და გემ-საშენებელ მუშებმა, ტრედ—იუნიონებმა დაადგინეს, მოთხოვონ მთავრობას, რომ ზემოხსენებული „ბილი“ იანვრის ბოლომდე შეაჩეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში საყოველთაო გაფიცვას გამოაცხადებენ. ამასთან ზემოთ დასახელებულ მუშათა ორგანიზაციებს შეკითხვა შეაქვთ პარლამენტში: ფიქრობს თუ არა მთავრობა საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას მხარი დაუჭიროს და მონაწილეობა მიიღოს ზავის საკითხის გადაწყვეტაში, თუარა?

ამას გარდა იმავე გაზეთებიდან სჩანს, რომ ინგლისის მუშათა წრეებში საზოგადოთ ძლიერდება პროტესტი წინააღმდეგ იმისა, რომ საზავო მოლაპარაკების საქმეში ინგლისმა რუსეთი განმარტოვებულათ დატოვა.

ს ა ე რ თ ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ.

ყველაფრადან სჩანს, რომ საზღვარგარეთ, ევროპაში მდგომარეობა გამოირკვა და ორი მოპირდაპირე ბანაკი სულ უფრო და უფრო მზადდება: ერთი მხრით მუშები. ხოლო მეორე მხრით მმართველი წრეები და ბურჟუაზია. პირველი ბანაკი დღეს აშკარათ ირაზმება ომის წინააღმდეგ, მეორე მხრით მეორე ბანაკი, განსაკუთრებით გერმანიაში, თუმცა ზავის წინააღმდეგი არაა, მარა მასუნდა ეს ზავი რევოლიუციის საზარალო და საწინააღმდეგო პირობებით შეკრას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათი გაჯიუტება იმდენათ მტკიცე და შეურყეველი არაა, რომ მისი დაძლევა არ შეიძლებოდეს.

რამდენათაც საერთაშორისო მუშათა მოძრაობა მოღონიერდება, იმდენათ მთელი ევროპის რეაქციონერები იძულებული გახდებიან ქედი მოიხარონ და ხალხის ნება-სურვილი შეასრულონ.

უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი.

სახალხო კომისარების საბჭომ რუმინიას, მისი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედებისათვის და საბჭოს განკარგულებათა დარღვევისათვის ულტიმატუმი გამოუცხადა: 24 საათის განმავლობაში მან პასუხი უნდა გასცეს, თუ რათ მოიქცა საბჭოს წინააღმდეგ და შემდეგში ხელი აიღოს ამ გვარ მოქმედებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მასთან რუსეთი კავშირს გაწყვეტს და შესაფერ სამხედრო ზომებსაც მიმართავს.

რ უ მ ი ნ ი ა შ ი რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა მ ი ფ ე თ ქ ა.

როგორც გაზეთებს ატყობინებენ, რუმინიაში რევოლიუცია უკვე გაჩაღდა. მეფე ფერდინანდი და მთავარ მინისტრი ბრატიანო ძირს ჩამოაგდეს. აფიცრების ერთმა ნაწილმა „პაგონები“ მხრებიდან ჩამოიგლიჯა და რევოლიუციონერების მხარეზე გადავიდა.

უ კ რ ა ი ნ ა შ ი

მთელი ძალა-უფლება ადგილობრივ მუშათა სალდათთა და გლეხთა საბჭოების ხელშია.

მთელი უკრაინის რესპუბლიკის სამხედრო ძალების მთავარ სარდლათ არჩეულია ბალშევიკი კაციუბინსკი,

# ნუგეში ამხანაგს.

(ე. გ—ძეს.)

კარგად ვიცი, ამხანაგო, რომ შენ წრფელი გულით და სულით ემსახურები მ. პარტიის პროგრამას და გულით და სულით მოწადინებული ხარ,—ხელი-ხელ ჩაკიდებული იარო რუსეთის პროლეტარ ამხანაგებთან ერთად საერთო მტრის დასამარცხებლათ და სამუდამოთ მოსასპობათ...

ვიცი ამხანაგო ისიც, რომ რომელ გაზეთსაც შენ ხშირად კითხულობ. მას თავზე აწერია რ. ს. დ. მ. პ. და კიდევ—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“, მაგრამ ისიც ვიცი, რომ არამც თუ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს შეუერთდით, არამედ თვით რუსეთის ამხანაგებსაც კი ჩამოცილდით და ომი გამოუცხადეთ...

მრწამს, ამხანაგო, რომ ძლიერ შეყვარებული გაქვს სიტყვა „მენშევიკი“ და სასტაკად გძაგს სიტყვა „ბალშევიკი“ და მისი მოწინავე პირებიც. მაგრამ ის კი გავიწყდება, რომ შენიშნო, თუ რა გაგიკეთა შენმა გმირმა ლიდერებმა...

კარგათ იცი, ამხანაგო ლენინი და ჟორდანია, ტროცკი და გეგეჭკორი ერთ ტაფაში დასაწვავი არ არის, მაგრამ ისიც ვიცი, რა ძლიერებით და ძალმომრეობითაა გაბატონებული იგინი შენს კისერზე, რისგანაც გასაქანი არა გაქვს...

მაგრამ ამხანაგო „მენშევიკო“ არ შეშინდე, არ დაგავიწყდეს რომ მე „ბალშევიკი“ შენი გულითადი ამხანაგი ვარ. მე და შენ ერთ გზაზე უნდა ვიაროთ რუსეთის ს. დ. მ. პ. სახელით და არა ჟორდანია-გეგეჭკორის ბრძანებით, ჩვენ უნდა ვიცნოთ ის მთავრობა, რომელსაც სცნობს მთელი რუსეთის პროლეტარიატი. კარგათ გახსოვს, რომ შენი გული და სული ამ სამი თვის წინეთ რუსეთის მუშების და გლეხების სიყვარულით იყო სავსე და სასურველი იქნება, რომ ზურგს შეაქცევდე იმ შენს მტერს, რომელმაც ბინძური სიტყვებით შეგაძულა შენი „ძმა“ და თავის მონა მორჩილათ გაგხადა.

შენ კარგათ იცი, რომ მკვიდრი ძმა ხარ რუსეთის გლეხ-მუშების და ისიც იცი, რომ თქვენ ერთი გზით უნდა იაროთ ხელი-ხელ ჩაკიდებული საერთო მტრის დასამარცხებლათ. იცი ისიც, რომ თქვენი საერთო მტერია კონტრ-რევოლიუციონერები კალედინ-კარნილოვები და მათი მოკავშირე ჟორდანია-გეგეჭკორები, რომლებმაც ზურგი შეაქციეს რუსეთის პროლეტარიატს და ნაციონალურ ბანაკში მოიკალათეს...

შენ ეს ყველაფერი იცი და მალე მწვავეთ იგრძნობ სიცხე-სიცივეს, მტერს და მოყვარეს და მიაშურებ იმ ბანაკს, სადაც შენი ძმები პროლეტარები იბრძვიან უსამართლობის და კონტრ-რევოლიუციონერობის წინააღმდეგ.

მეც იქა მნახავ ამხანაგო...

წინათ „უპარტიო“

# მუშათა შორის.

თ ფ ი ლ ი ს ი.

28 იანვარს შესდგა საერთო კრება ბ. ს. პროფ. კავშ. წევრებისა. კრებამ მოისმინა გამგეობის და გაფიცვის კომიტეტის მოხსენებები გაფიცვის მსვლელობის შესახებ და მოხსენებებზე ხანგრძლივი კამათის შემდეგ ერთხმად დაადგინა: ყველა წევრები კავშირისა, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობდნენ გაფიცვაში, ან ის წევრები, რომლებიც მიღებული იქმნენ მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებების შემდეგ, ვალდებული არიან 2070 თავის ნამუშევრის იანვრის თვის მეორე ნახევრისა დაუყონებლი შეიტანონ კავშ. კასაში თავისუფალი ფული მიბარებულია სახელმწიფო ბანკში მიმდინარე ანგარიშით და რადგანაც ეხლა არ არის საშუალება ბანკიდან ამ ფულის მიღებისა, კავშირის წევრები, რწმუნებულნი და ადგილობრივი ავტონომიური კომისიები ყოველ გვარ ზომებს იხმარენ, რომ კავშირის სასარგებლოდ გადადებული ფული, რაც შეიძლება მალე შემოვიდეს. კავშირის გამგეობამ გადაწყვიტა გამგეობის და გაფიცვის კომიტეტის წრიდან შეადგინოს განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეაგროვებს კავშირისთვის ფულს სხვადა სხვა დაწესებულებებში. ფულის დახმარება გაფიცულებს მიეცემათ გაფიცვის პირველ დღიდან ჯამაგირის ნახევარი ახალი ტარიფით. გამგეობას უფლება ეძლევა გაფიცვის გაგრძელების დროს თუ გაფიცულთა რიცხვი იკლებს, ფულით დახმარება გაადიდოს.

ერთხმად მიღებული დადგენილება საერთო კრებისა დამამტკიცებელია იმისა, რომ ბეჭვდითი საქმის მუშები გაფიცვის საქმეს მიიყვანებენ სრულ გამარჯვებამდის.

ეს გამარჯვება გაამაგრებს ძალას და მნიშვნელობას პროფესიონალური კავშირისას მის მომავალ მოქმედებაში მუშათა საქმის გაუმჯობესებისთვის.

რ კ ი ნ ი ს გ ზ ი ს მ უ შ ა-მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა.

დღეს ბრმაც კი ხედავს, თუ რა სივიწროვეს განიცდიან ეკონომიური მხრით რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები. ყველა უკმაყოფილოა დღევანდელი ჩარჩვაჭრების უნამუსო სპეკულიაციის და ალვირ-ახსნილი, თავაშვებული თარეშის. დღეს ვერავის ხმა ვერ ამოუღიათ, რადგანაც დაპირებები ბევრია, თუ ღმერთმა ქნა და სისრულეში მოიყვანეს ჩვენმა ადმინისტრაციამ და კომიტეტებმა. თუმცაღა დღევანდელ სიჩუმეს მუშებისას „ერთობის“ ფურცლებზე ბ. ნინიძემ პო-

ლიტიკური სიმწიფე უწოდა, მაგრამ უკეთესი კი იქნებოდა, რომ ბ. ნინიძეს ასე ეთქვა: მუშა-მოსამსახურეები აღელვებული არიან, რადგანაც ჯამაგირები დღევანდელ ზღაპრული სიძვირის დროს ნამეტანი მცირე აქვთ და იმასაც თავის დროზე ვერ ღებულობენ. და ამავე დროს მუშაობას კი პირნათლად ასრულებენო. მაგრამ სხვა რა გზა ქონდა ბ. ნინიძეს: რომ ნდობა არ დაკარგოს მუშების თვალში, მათ თავზე მაღლდმოს უსვამს და მოთმინებისაკენ მოუწოდებს; მას ვერ წარმოუდგენია, თუ მუშები მიხვდებიან ასეთ „სარჩულიან“ წერილებს და მოქარგულ სიტყვებით კვებას. მუშა-მოსამსახურეები კარგად აფასებენ, ვინ რომელ ჰანგებზე მღერიან და მომწიფებულ ხალხში, მე მგონია, პირმოთნეობას აღარ დაურჩება გასავალი. მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ მუშა-მოსამსახურეებს დიდი არაფერი მოუპოვებიათ. მხოლოთ ერთი კია: თუ მაშინ ერთი ადმინისტრაცია ყავდა, ეხლა ორი ყავს: პირველი-ძველი თავისი ძველებური სახით, მეორე- ახალი კომიტეტების სახით, რომლებიც დიდათ არ იწუხებენ თავს მუშა-მოსამსახურეთა პირობების გასაუმჯობესებლათ, რადგანაც ცოტა არიყოს თბილმა ადგილებმა მათზედაც გავლენა იქონია და მოთმინების მეტს არაფერს უქადაგებენ ხალხს. დროა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა აიმაღლონ ხმა და შეუერთდენ იმ სამრეწველო ქალაქების მუშებს, რომლებმაც უკვე განამტკიცეს მუშათა საბჭოები და მუშათა კანტროლი. მხოლოთ ერთათ, ერთ მუშათა საბჭოებს შეუძლიათ მოსპონ მონობის ქადაგება: „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო.“

აჭარიდან ჩამოსული.

## პროვინციის ცხოვრება.

დ. ქ. სამტრედია. აქაურმა მენშევიკებმა იდღესასწაულეს, როდესაც ხმები გავრცელდა ლენინის სიკვდილის შესახებ. მაგრამ მათი დღესასწაული ხანმოკლე გამოდგა. გაზეთებმა მოგვიტანა ამბავი: ლენინი ცოცხალია, მასთან კალედინი დამარცხდა.

ეს ორი ამბავი თავზარდამცემი მეხი იყო მენშევიკებისათვის. მოედო ბოლო მათ ზეიმს. მათ ძაძა ჩაიცვეს.

ეხლა უკანასკნელი იმედი მათი არის სეიმი. მაგრამ მყვირალა სახელი მენშევიკებს ვერაფერს უშველის. ვერ უშველის სეიმი ვერც ამიერ კავკასიას, რომ მან თავი დააღწიოს საშინელ არევ დარევას და ეკონომიურ კრიზისებს.

ჩვენ გვწამს, რომ სეიმიც იმ საფლავში ჩაესვენება, რომელშიდაც ჩაესვენა ამ. კავკ. კომისარიატი. იმ ნეკროლოგით გაისტუმრებენ სეიმს, რომლითაც გაისტუმრა კომისარიატი თვით ე. გეგეჭკორმა იმ განსხვავებით, რომ სეიმის განსვენების დროს უფრო მეტი ცრემლი დაიღვრება მართლ მორწმუნე მენშევიკებისგან.

ქ. სამტრედიაში გახშირდა ღამღამობით თოფის სროლა. ისვრიან ყოველ გვარ იარაღიდან; ბატონო მენშევიკებო! ყველა იარაღები თქვენს ხელშია, მაშასადამე მსროლელნიც თქვენ ბრძანდებით და პასუხისმგებელნიც საზოგადოების წინაშე.

კაშინა.

ქ. სამტრედია. 5 იანვარს აქ ამხანაგ კობახიძის რეჟისორობით დაარსდა ბოლშევიკური დრამატიული წრე სახელწოდებით: „დემოსი“. წრეს განზრახვა აქვს მართოს საღამო-წარმოდგენები როგორც სამტრედიაში ისე პროვინციაში. წმინდა შემოსავლიდან 20 პროცენტი გადაიდება რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკების საოლქო კომიტეტის ან ადგილობრივ ბოლშევიკურ ორგანიზაციების სასარგებლოთ.

პირველი წარმოდგენა -დექოსმი- გამართა ქ. სამტრედიაში 14 იანვარს. წმინდა შემოსავალი დარჩა ამ წარმოდგენიდან 367 მანეთი და 30 კაპ. ამ წარმოდგენის შემოსავალი ყველა 367 მ. 30 კ. გადაეცა ადგილობრივ ორგანიზაციას. ამ ფულებიდან ასი მანეთი მახლობელ დროში გაეგზავნება საოლქო კომიტეტს რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკებისას.

დრამატიული წრე: „დემოსი“ სთხოვს ყველა პარტიულ ამხანაგებს და ორგანიზაციებს დახმარება გაუწიონ მას წარმოდგენების მართვის დროს.

წრის დავალებით სპ. კ—ლი.

საჭამიასერი (გურია) 18 იანვარს მოხდა ადგილობრივ ჯარის-კაცთა მიტინგი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ი. ვაჩეიშვილი. კრება შეეხო სხვა და სხვა საკითხს. გამოთქვა სურვილი, რომ სალდათებს თავის წარმომადგენლები ყავდეთ მუშათა საბჭოში, რომელიც სახელით არსებობდა და საქმით კი არაფერს აკეთებდა. მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ჯ.-კ. ი. ჭკუასელმა, რომელმაც ვააცხადა: ჩვენ არ ვიცით, ვის ჩავაბაროთ ჩამოტანილი იარაღიო; თუ ჩვენი წარმომადგენელი გვეყოლება საბჭოში, დიდი სიამოვნებით ჩავაბარებთ ეხლავე ჩვენს იარაღებსო. მერმეთ მოხდა არჩევნები აირჩიეს ხუთი ჯ.-კ. და გაგზავნეს საბჭოში, რომელნიც მეორე დღესვე შეუერთდენ მ. ს. რომელსაც დაარქვეს საჭამია სერის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო. აირჩიეს აღმასრულებელი კომისია, რომელშიდაც შედიან: მასწ. სიმონ რამიშვილი, ჯ.-კ. ირაკლი ვაჩეიშვილი, ჯ.-კ. ესტატე ცხომელიძე მასწავლებელი ტიტე თევზაძე და ლუკა ძნელაძე. საბჭო შეიკრიბება ჩვეულებრივ თვეში ორჯელ. აღმასრულებელი კომისია შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას: აგროვებს იარაღს, აკრძალა არაყის ყიდვა-გაყიდვა და სხ. საბჭოში ჯერჯერობით არიან 16 წევრი ველით კიდევ სხვა სოფლებიდგან ახალ წევრებს. საბჭომ გადასწყვიტა: ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებიდან მოიწვიონ თითო წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმით...

ირაკლი საჯავახელი.

P. S. საჭამიასერზე ახალი წლიდგან გაიხსნა გაზეთების აგენტურა: მოდის ყველა ქართული გაზეთები ყოველ დღე

ი. ს.

ს. ნიგოითი (გურია). ხუთშაბათს 18 იანვარს, ს. ნიგოითში შესდგა ადგილობრივ ჯარის-კაცთა საზოგადო კრება, კრებას ჰქონდა გადასაწყვეტი სხვა და სხვა დღიური საკითხები, მაგრამ სხვათა შორის მოისმინა ამხ. შ. ასკურავას მოკლე მოხსენება აღმოსავლეთ კავკასიაში მომხდარ ამბების შესახებ და ამიერ კავკასიის საერთო მდგომარეობაზე. კრებას დაესწრენ აგრეთვე რამდენიმე არა სამხედრო პირებიც, რომლებმაც მოინდომეს კრების ჩაშლა (როგორც ეს მოახერხეს საზოგადო კრებაზე 7 იანვარს) მაგრამ მათდა სამწუხაროდ ამ შემთხვევაში ვერაფერს გახდენ და დარჩენ ისე, როგორც თევზი ხმელეთზე. მოხსენებამ გამოიწვია ცხარე კამათი და ბოლოს კრებამ დიდის უმრავლესობით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში თანამედროვე კრიტიკულ მდგომარეობას ამიერ-კავკასიაში, რომელიც გამოწვეულია ადგილობრივ ობოლი ...ცების (მენშევიკ-ესერების) ანტირონცების (მენშევიკ-ესერების) ანტისოციალისტური მოქმედებით, რაიცა გამოიხატება ჰაერზე გამოკიდულ კონტრ-რევოლიუციონურ კომისარიატის შედგენაში, ნაციონალისტური შუღლის გაღვივებაში, ჯარის ძალდატანებით იარაღის აყრაში, რამაც გამოიწვია ძმათა შორის სისხლის ღვრა, ანარქიის და კონტრ-რევოლიუციის განმტკიცებაში და ამით რევოლიუციის უფსკრულის პირამდის მიყვანაში,- ჩვენ, ადგილობრივი ჯარის-კაცები, უცხადებთ უნდობლობას და სასტიკ პროტესტს ამიერ-კავკ. პომეშჩიკურ ბურჟუაზიულ კომისარიატს. ამასთანავე უცხადებთ ზიზღს და პროტესტს იმ ნაციონალისტურ ორგანოებსაც, რომლებმაც გამოიწვიეს და მონაწილეობა მიიღეს პირდაპირი თუ არა პირდაპირი-აღმოსავლეთ კავკასიაში მომხდარ ხოცვა-ჟლეტაში და მოვითხოვთ მათ პასუხის გებაში მიცემა.

ამასთანვე ჩვენ მოვითხოვთ ყველა ზემოხსენებული ორგანოები დაუყონებლივ გაუქმებულ იქნას და გადაეცეს მუშათა, ჯ.-კ. და გლეხთა საბჭოებს რაიცა უტყუარი თავდებია იქნება რევოლიუციის გაღრმავების და გამარჯვების.

ჩვენ მოღალატეობრივ მოქმედებათ მიგვაჩნია ჯარისთვის ძალდატანებით იარაღის აყრა და მოვითხოვთ შემდეგში არ გამეორდეს ასეთი მოქმედება, რაიც მომასწავებელია დემოკრატიის გათიშვის, ძმათა შორის სისხლის ღვრის და რევოლიუციის შესუსტების. ჩვენ არ შეგვიძლია აღშფოთებით არ შევხედოთ ყოველ-გვარ ასეთ მოქმედებას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც რუსეთის რევოლიუცია თავისი ძლევა-მოსილებით თანდათან ღრმავდება, მიზანს აღწევს და ჩვენი ძმები იქიდან ჩვენს დახმარებას მოითხოვენ. ამიტომ ჩვენ მხარს უჭერთ რუსეთის ამხანაგებს, მათ ინტერესების დამცველ მთავრობას-სახალხო კომისართა საბჭოს, ძმურათ უწვდით მათ ხელს და მზათა ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვებრძოლოთ მათთან ერთათ საერთო მტრებს.

გაუმარჯოს საბჭოთა ძალა-უფლებას!

გაუმარჯოს სახალხო კომისართა საბჭოს!

გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

კრების თავმჯდომარე ამბერკი ურუშაძე.

## მისაბაძი მაგალითი.

ვრებალოს სამკითხველოს გამოუწერეს გაზეთი „ბრძოლა“ ორი თვით სეფე ლეკიშვილმა და ირადიონ სოხაძემ.

მექვენის სამკითხველოს გამოუწერა გაზეთი „ბრძოლა“ ორი თვით ირადიონ სოხაძემ.

## განცხადებები.

„ბრძოლის“ რედაქციასთან პირადათ მოლაპარაკება შეიძლება რედაქციაში ყოველ დღე დილის 11—12 საათზე.

ხუთშაბათს პირველ თებერვალს ძველი სემინარიის შენობაში (ლორის მელიქოვის ქუჩა სოც. ფედერალისტთა პარტ. ბიუროში) საღამოს ცხრა საათზე დანიშნულია თბილისში მყოფი ქართველი ფარმაცევტთა საერთო კრება. ვთხოვთ ყველა ამხანაგებს მიუხედავათ მიმართულებისა დაესწრონ კრებას, რადგანაც ფრიად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი.

რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკების თბ... ...განიზაციის პირველი რაიონის ამხ. პ... პაგანდისტ-აგიტატორებს, რომ... სურთ სოფლებში წავიდნენ, ვთხოვთ... ეწერონ რაიონის კოლექტივის ს... ტართან ბიუროში. ბიუროს ... ჩერქეზოვის ქ. № 135 საღამოს ... საათ.

31 იანვ... ოთხშაბათს საღამოს ... საათზე ავჭალის აუდიტორიაში მოწ... ლია რ. ს. მ. პ. (ბოლშევიკების) თბ... რველი რაიონის წევრების საერთო ... ბა. დღის წესრიგი: 1) მოხსენება ... ფერენციაზე. 2) მოხსენება რაიონ... კომიტეტის. 3) არჩევა რაიონული ... ტეტის და სარევიზიო კომისიის. 4) ... მდინარე საქმეები.

რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) ... ლისის პირველი რაიონის წევრები, რო... მელთაც 1918 წლის საწევრო ბილეთ... არ მიუღიათ, პარტიიდან გასულ... ჩაითვლებიან; ამიტომ ვთხოვთ ამხანა... დააჩქარონ ახალი ბილეთების მიღებ...

რ. ს. დ. მ. პარ. (ბოლ.) თბილ. პირ... ველი რაიონის ამხ. პროპაგანდის... და აგიტატორებს, რომელთაც სუ... სოფლათ გავიდენ პარტიულ მუშაობ... თვის ვთხოვთ ახლავე ჩაეწერონ კო... ქტივის მდივანთან ბიუროში.

პირველი რაიონის აგიტატორ პ... პაგანდისტთა კომისია.

კოლექტივ...

რ. ს. დ. მ. პ. (ბოლ.) თბილ. მე... რაიონის კოლექტივი 1 თებერვა... ხუთშაბათს საღამოს 6 საათზე სამეც... საზოგადოების შენობაში (პუშკინის ბ... ლიოთეკა ალექსანდრეს ბაღში) იწ... წევრთასაერთო კრებას.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება რაიონ... კომიტეტისა. 2) მოხსენება საქალ... კონფერენციაზე. 3) მოხსენება სარე... ზიო კომისიისა. 4) მიმდინარე საქმე...

მეორე რაიონის ბიურო.

რ. ს. დ. მ. პ. (ბოლ.) თბილ. ორგა... ზაციების კომიტეტების ბიუროების ... რესები:

საქალაქო კომიტეტის: განოვის ქ. ... („ბრძოლის“ რედაქცია ტელეფ... 3—11 კომიტეტის მდივანი იმყ... ფება დილის 10 საათ. ნაშ. 2 ... ათამდე საღამოს 6—8 საათ...

I რაიონის: ჩერქეზოვის ქუჩა № 1... მდივანი იმყოფება საღამოს 6—... საათამდე.

II რაიონის: ელისაბედის ქუჩა № ... მდივანი იმყოფება საღამოს 6—... საათამდე.

III რაიონის: კახეთის ქუჩა № 1 (... ლაზრის კლუბი) ტელეფონი ... მდივანი იმყოფება დილის 11 ... ნაშუადღევის 2 საათამდე. საღ... მოობით 5—9 საათამდე.

IV რაიონის: განოვის ქუჩა № 3 („ბრძო... ლის“ რედაქცია) ტელ. 3—11 ... მდივანი იმყოფება საღამოობი... 5—7 საათ.

მუსულმანთა ორგანიზ. „ჰუმეტის“: სურ... სარქისის ქუჩა № 10 ტელეფონი ... 14—15. მდივანი იმყოფება საღა... მოობით 5—8 საათამდე.

...ოსთა ორგანიზაციის „ჩერმეჯის“: ჩერ... ქეზოვის ქუჩა № 135 მდივანი იმ... ყოფება საღამოობით 5—8 საათ...